ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა მ ტ რ ე დ ი ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
N 38 11
ბრძანება

19/02/2021

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 19 თებერვლის ბიუროს რიგგარეშე სხდომის გადაწყვეტილების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 21-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 30000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 34.06.45.368) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ.
   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/
2. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 7327.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.764) 7127.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – **438728708**) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/
3. ,,ქალაქ სამტრედიაში მდებარე 6077.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.64.175) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – **438728708**) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ივლისის №38 81 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე/

6. **სხვადასხვა**

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

საკრებულოს თავმჯდომარე